INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში

პროექტის შედეგების პრეზენტაცია

პრეს-რელიზი

<u>24 იანვარი, 2016, 11:00 საათი, სასტუმრო ჰოლიდეი ინ თბილისი</u> *- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) გამართავს* პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“ დასკვნით პრეზენტაციას. IDFI პროექტს 2016 წლის ივლისიდან ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით. პროგრამა დაფინანსებულია შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

ღონისძიებაზე IDFI დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებს და მომზადებულ წინადადებებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ღონისძიებაზე მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი, სამართლისა და დემოკრატიის ცენტრის (კანადა) აღმასრულებელი დირექტორი ტობი მენდელი, წარმოადგენს რეკომენდაციებს საქართველოში სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით.

არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის არსებულ მდგომარეობა საქართველოს საერთო სასამართლოებში, და გამოკვეთა პრობლემების გამომწვევი სამართლებრივი და პრაქტიკული მხარეები. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დღეს საქართველოში სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებობს სისტემური საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები, კერძოდ:

- *კანონმდებლობა მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს პერსონალური მონაცემების დაცვას საჯარო ინფორმაციის გაცემის ინტერესთან შედარებით;*
- *კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შესაძლო საჯარო ინტერესის არსებობას კონკრეტულ საქმესთან მიმართებით;*
- *დახურულია ღია სასამართლოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება თავისუფლად შევიდეს და დაესწროს სასამართლო პროცესებს (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა);*
- *სასამართლოები არ გასცემენ ყოფილ მაღალ თანამდებობის პირთა შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს;*
- *სასამართლოები ფართოდ განმარტავენ დეპერსონალიზაციის ვალდებულებას, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემას;*

UNITED STATES AGENCY INTERNATIONAL DEVELOPMENT USAID

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

- *სასამართლოები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ავრცელებენ იურიდიულ პირებზეც;*
- *საერთო სასამართლოებში, სავარაუდოდ, კვლავ არსებობს სასამარლოს გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის შეთანხმებული შაბლონური ფორმები.*

პრეზენტაციის დასასრულს გაიმართება დისკუსია, სადაც დამსწრე საზოგადოებას ექნება საშუალება, წარმოადგინოს საკუთარი ხედვა და რეკომენდაციები კვლევის, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტისა და ზოგადად ქვეყანაში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მერი მახარაშვილი

კომუნიკაციების & ორგანიზაციული განვითარების გრანტის მენეჯერი

მის: ალ. გრიბოედოვის 3, თბილისი 0108, საქართველო.

ტელ: + 995 32 1 92 15 14; მობ: +995 599 50 01 37

ელ-ფოსტა: m.makharashvili@idfi.ge; info@idfi.ge